საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030192381874520

№ 01-361/ო **21 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“, ,,ო“ და ,,ჟ“ ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - ,,სამინისტრო“) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ბექა ფერაძე - სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ეკა შარაძე - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ლიკა კლიმიაშვილი - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ე) თინათინ მარგველანი - სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი და ანალიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ვ) გელა ჩიღოშვილი - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, პირი, კომისიის წევრი;

ზ) თათია ხაბეიშვილი - სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი სამართლებრივ და იურიდიულ საკითხებში, კომისიის წევრი;

თ) ნატო ნათენაძე - სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში), კომისიის წევრი.

2. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“ (დანართი N1).

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს - თამილა ბარკალაიას მიენიჭოს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს

სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივრის განხილვის თაობაზე გამოსაცემ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტებს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე საჩივრის განმხილველი კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 10 ივლისის № 01-226/ო ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე